სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

28ოქტომბერი, 2025 წ.

ბრძანება № 01-02/197

,,მწვანე სტიპენდიის" მიმღებ სამაგისტრო პროგრამების სტუდენტთა შესარჩევი კონკურსის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ,,ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის N07-01/58 გადაწყვეტილების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს" (შემდგომში - „ცენტრი") და ბსუ-ს შორის 2024 წლის 24 ოქტომბრის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის და ამავე მემორანდუმის 2.1. პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად 2025 წლის 28 ოქტომბერს გაფორმებული „მწვანე სტიპენდიის" პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების, ,,ბსუ-ს რექტორის ტიტე არაშიძის ქალაქ თბილისში მივლინების შესახებ'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 24 ოქტომბრის №01-14/596 ბრძანებისა და სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1417528, 28.10.2025 წ.) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **,,მწვანე სტიპენდიის" მიმღები ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის** სამაგისტრო **პროგრამების** (,,ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება", ,,ეკოლოგია") **ორი სტუდენტის** შერჩევა **განხორციელდეს 2025 წლის 31 ოქტომბერს** სსიპ - „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან" გაფორმებული ,,მწვანე სტიპენდიის დაფინანსების ხელშეკრულების" **შემდეგი პირობების შესაბამისად:**

ა) ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამაზე (,,ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება", ,,ეკოლოგია") სწავლის პროცესში მაგისტრანტს დაგროვებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ **30 კრედიტი** და მისი საშუალო სარეიტინგო ქულა არ უნდა იყოს 81-ზე ნაკლები;

ბ) 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შესაბამის კანდიდატს უნდა ჰქონდეს აქტიური სტუდენტის სტატუსი;

გ) კანდიდატმა უნდა წარუდგინოს ფაკულტეტის დეკანს, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის სარეკომენდაციო წერილი;

დ) უპირატესობა მიენიჭოს იმ კანდიდატს, რომელსაც წარდგენილი აქვს სამეცნიერო ნაშრომი საუნივერსიტეტო/სტუდენტურ კონფერენციებზე.

2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის მიერ შერჩეულ სტუდენტებს **,,მწვანე სტიპენდია" დაენიშნოთ** <u>**არაუგვიანეს 2025 წლის 03 ნოემბრისა.**</u>
3. წინამდებარე ბრძანების აღსრულებისათვის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტმა უზრუნველყოს:**

   ა) ,,მწვანე სტიპენდიის" შესარჩევი პროცესის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება სავარაუდო კანდიდატებისათვის/სტუდენტებისათვის, მათ მიერ ამ ბრძანების აღნიშნული საკონკურსო პირობების შესაბამისად ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენის მიზნით;

   ბ) ,,მწვანე სტიპენდიის" მიმღები სტუდენტების შერჩევა (ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით შეიქმნას შესარჩევი კომისია) შერჩევის შედეგების შესახებ სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა - **არაუგვიანეს 2025 წლის 01 ნოემბრისა;**

   გ) სსიპ - „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის' ინფორმირება ,,მწვანე სტიპენდიის" მიმღები სტუდენტების შერჩევის საფუძველზე გამოცემული სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების შესახებ, ასევე ცენტრის მიერ ჩამორიცხული თანხის შესაბამისი სტუდენტებისათვის მწვანე სტიპენდიის ჩარიცხვის თაობაზე ინფორმაციის და დოკუმენტაციის წარდგენა.
4. **ბრძანება განთავსდეს** ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის **ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე და ვებგვერდზე** (ველში ,,კონკურსები'', ,,ფაკულტეტის სიახლეები'').
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

ბსუ-ს რექტორის მოადგილე
სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ქათამაძე**